# თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

**1.1.** შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) „თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი“ (შემდგომში - „ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი მულტიდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

**1.2.** ინსტიტუტი ექვემდებარება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის, უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ამავდროულად, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის წინაშე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

**1.3.** ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

**1.4.** წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ინსტიტუტის სამართლებრივ სტატუსს, საქმიანობის სფეროს, მიზანსა და ფორმებს, ასევე, არეგულირებს მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

## მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის სფერო, მიზანი და ფორმები

**2.1.** ინსტიტუტის საქმიანობის სფეროა ქართველოლოგიის სამეცნიერო სფეროში კვლევების განხორციელება, რაც, ფართო გაგებით მოიცავს, როგორც ქართველებისა და საქართველოს შემსწავლელ ყველა ჰუმანიტარულ დარგს: ენათმეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას, ხელოვნებას, არქეოლოგიას, ფოლკლორისტიკას, ეთნოგრაფიას, ნუმიზმატიკას, სფრაგისტიკას, ისტორიას, ეკონომიკას, სამართალმცოდნეობას, ეპიგრაფიკას, პალეოგრაფიას, წყაროთმცოდნეობას და ა.შ.

**2.2.** ინსტიტუტის საქმიანობის მიზანია, საკუთარი საქმიანობის სფეროში კვალიფიციური დისციპლინური და მულტიდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, ასევე, სათანადო ადამიანური და მატერიალური აკადემიური რესურსის მობილიზება და შექმნა.

2.3 ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უნივერიტეტის სოციალურ-მეცნიერებათა, სამართლის, ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლების და, განსაკუთრებით, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის როგორც საბაკალავრო პროგრამის (მესამე/მეოთხე წელი) სტუდენტების, ისე განსაკუთრებით, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისათვის კვლევების წარმოებაში ხელშეწყობა;

**2.4.** ინსტიტუტის საქმიანობის ფორმებია:

**ა)** სამეცნიერო-კვლევით პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით;

**ბ)** კვალიფიციური ბეჭდური, აუდიო-ვიდეო და სხვა ტიპის აკადემიური პროდუქტის მოპოვება, მომზადება, პუბლიკაცია და დაარქივება (ელექტრონული ბაზების მუზეუმების და საგამოფენო სივრცეების შექმნა);

**გ)** თანამშრომლობა უნივერსიტეტის სხვა სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ერთეულებთან;

**დ)** თანამშრომლობა შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ ინსტიტუტებთან და კვლევით თუ სასწავლო ცენტრებთან;

**ე)** ეროვნული და საერთაშორისო აკადემიური ღონისძიებების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;

**ვ)** საკუთარ სფეროში საექსპერტო, საკონსულტაციო და წარმომადგენლობითი საქმიანობის განხორციელება;

**ზ)** უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა.

**მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა**

**3.1.** ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება მართვის ორგანოებისა (ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან (დეპარტამენტებისაგან), რომლებიც ჩამოყალიბდება ინსტიტუტის განვითარების შესაბამისად.

**3.**1.[1] გაუქმებულია

**3.2.** ინსტიტუტის სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელსაც უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარდგენით, თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. ინსტიტუტის დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინაშე.

**3.3.** ინსტიტუტის დირექტორი:

**ა)** ხელმძღვანელობს ინსტიტუტის სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობას;

**ბ)** ხელმძღვანელობს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს;

**გ)** უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან შეთანხმებით აკომპლექტებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, ქმნის და აკომპლექტებს ინსტიტუტის დეპარტამენტებს და **წარუდგენს** უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად;

**დ)** თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ინსტიტუტის პერსონალს;

**ე)** უნივერსიტეტის რექტორთან და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან შეთანხმებით ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებსა და პროექტებს, აგრეთვე დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის განკუთვნილ სასწავლო-კვლევით პროექტებს;

**ვ)** უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

**ზ)** შეიმუშავებს და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტსა და საშტატო ნუსხას;

**თ)** უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს წარუდგენს ინსტიტუტის საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

**ი)** წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობებში;

**კ)** საკუთარი თანამდებობრივი ვალდებულებების ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დავალებებს.

**მუხლი 4. ინსტიტუტის პერსონალი**

**4.1.** ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისგან. ინსტიტუტის დირექტორი არის ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალი.

**4.2.** ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალია:

**4.2.1.** მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი აფილირებული უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტთან. ის უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6

წლიანი გამოცდილება. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა, უხელმძღვანელოს სადოქტორო ან ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევას და დაიკავოს ინსტიტუტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობა.

**4.2.2.** უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი აფილირებული უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტთან. ის უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური (სასწავლო ან/და კვლევით) საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევაში.

**4.2.3.** მეცნიერ-თანამშრომელი - მეცნიერ-თანამშრომელი აფილირებული უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტთან. ის შეიძლება იყოს როგორც დოქტორის, ისე მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მეცნიერ-თანამშრომელი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევაში.

**4**.2.4. ასისტენტი - ასისტენტი შეიძლება იყოს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტი, ასევე ბაკალავრის ან მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ასისტირებას და ტექნიკურ დახმარებას უწევს მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, უფროს მეცნიერ-თანამშრომელს და მეცნიერ-თანამშრომელს, ასევე ახორციელებს მუდმივმოქმედი სემინარების და კონფერენციების ტექნიკურ გაძღოლას და უზრუნველყოფს ოქმების შედგენას.

**4.3.** ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს: დამოუკიდებლად განახორციე-ლოს სამეცნიერო კვლევა და მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნი- ერო კვლევებში; მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს და ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით; ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის აკადემიური რესურსებითა და ინფრასტრუქტურით; განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერ- სიტეტის წესდებითა და ინსტიტუტის დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

**4.4.** ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია: დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები; შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ინსტიტუტის დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადებში და ფორმით წარმოადგინოს სამუშაო გეგმა და შესრულებული სამუშაოს ანგარიში; გაუფრთხილდეს და დაიცვას მის სარგებლობაში არსებული უნივერსიტეტის/ ინსტიტუტის აკადემიური რესურსები და ინფრასტრუქტურა; გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის

რეპუტაციას; პერიოდულად მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატიები (მინიმუმ ერთი წელიწადში) და გამოაქვეყნოს ის მეცნიერების ამ დარგში საერთაშორისოდ აღიარებულ პერიოდიკაში; საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის აკადემიურ ღონისძიებებში; შეასრულოს ინსტიტუტის დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს და დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებები და დავალებები.

**4.5.** ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის თანამდებობის დაკავება ხდება ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ღია კონკურსის საფუძველზე.

**4.6.** ინსტიტუტის დამხმარე პერსონალია სპეციალისტი, რომელიც ასრულებს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ არასამეცნიერო საქმიანობას. სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ინსტიტუტის დირექტორი.

**4.7.** ინსტიტუტის სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის ვადა, ანაზღაურება და სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

## მუხლი 5. ინსტიტუტის ქონება, ფინანსები და ბიუჯეტი

**5.1.** ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ მისთვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

**5.2.** ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

**ა)** უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

**ბ)** ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

**გ)** გრანტებით მიღებული შემოსავალი;

**დ)** შემოწირულობები;

**ე)** საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახის დაფინანსება.

**5.3.** ინსტიტუტის მიერ მოზიდული სახსრები გამოიყენება მხოლოდ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

**5.4.** ინსტიტუტის გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც შედგება 5.2. მუხლით გათვალისწინებული წყაროებიდან მიღებული ფინანსებით. ინსტიტუტის ბიუჯეტს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

**მუხლი 6. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

**6.1.** ინსტიტუტის რეორგანიზაციის პროექტს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. რეორგანიზაციის შედეგად განხორციელებული ცვლილებები დადგენილი წესით აისახება ინსტიტუტის დებულებაში.

**6.2.** ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

**ა)** ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

**ბ)** უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

**6.2.** ინსტიტუტის ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 7. გარდამავალი დებულებები**

**7.1.** ინსტიტუტის წესდებით გათვალისწინებული სამეცნიერო საბჭოს ჩამოყალიბებამდე ინსტიტუტის მართვას ერთპიროვნულად ახორციელებს ინსტიტუტის დირექტორი.

**7.2.** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და დეპარტამენტების უფლებამოსილებები დამატებით განისაზღვრება მათი ჩამოყალიბების შესაბამისად.

**მუხლი 8. დასკვნითი დებულებები**

**8.1.** ინსტიტუტის დებულებას უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორის საბჭო. დებულება ძალაში შედის დამტკიცების მომენტიდან.

**8.2.** ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტს ამზადებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და შესათანხმებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორის

საბჭო. ინსტიტუტის დებულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის დამტკიცების მომენტიდან.

**დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები:**

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 7 მარტის N 07/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2025 წლის 13 ოქტომბრის N 20/25 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2026 წლის 16 მარტის N 08/26 ოქმით